



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 104

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი  
28.12.2023

104-06-4-202312281752



### გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენების გიორგი ქაცანაშვილის, ნიკოლოზ ჭიკაიძისა და მწვრთნელის გურამი ცალუღელაშვილის დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მეორე ნაწილის, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N38 დადგენილების, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ივლისის N49 დადგენილებისა და საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2023 წლის 22 დეკემბრის N224 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

#### მუხლი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის - გიორგი ქაცანაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“, ნიკოლოზ ჭიკაიძის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 700 (შვიდასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან და მწვრთნელის – გურამი ცალუღელაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 490 (ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

#### მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნაღლო ანგარიშწორებით, სპორტსმენის და მწვრთნელის პირად საბანკო ანგარიშებზე:

გიორგი ქაცანაშვილი - 700 (შვიდასი) ლარი, პ/ნ 12001095320;  
GE29BG0000000528105342

ნიკოლოზ ჭიკაიძე - 700 (შვიდასი) ლარი, პ/ნ 12001094379: GE 64LB0711134420466000

გურამი ცალუღელაშვილი – 490 (ოთხას ოთხმოცდაათი) ლარი, პ/ნ პ/ნ 12201106325;  
GE63LB 0711180551940000

### **მუხლი 3**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

### **მუხლი 4**

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

